ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3259845

ნომერი: AR1503036

თარიღი : 11.05.2017

გაცემის თარიღი : 15.05.2017

გაცნობის თარიღი : 15.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, ფარსადანის ქუჩა N9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რაულ იაკობიძე პ/ნ 54001007073
- თბილისი ლუბლიანას ქ. N 38 ბ. 1ა

ორგანიზაცია:

- პარტნიორი2 კოდი: 405092224

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის #2394180 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 მაისს #AR1503036 განცხადებით მომართა რაულ იაკობიძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის #2394180 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის #2394180 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ფარსადანის ქუჩა #9-ში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.72.14.034.683) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი.

ზემოაღნიშნული განცხადებით განმცხადებელი უთითებს, რომ სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის #2394180 ბრძანებაში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობი დაფიქსირდეს 2777.1 კვ.მ. ნაცვლად 3921.1 კვ.მ.-ისა, ასევე, საერთო ფართობი - 26732.5 კვ.მ, ნაცვლად 27876.5კვ.მ.-ისა. სამსახურმა 2017 წლის 11 მაისის #AR1503036 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა შეადარა 2016 წლის 27 იანვრის #2394180 ბრძანებით შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის #2394180 ბრძანებაში ცვლილების შეტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის #2394180 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი - 2777.1 კვ.მ, საერთო ფართობი - 26732.5 კვ.მ. აღნიშნული ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის #2394180 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.